ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 30 კაპ.

ნიანგი

3 1987
თებერვალი

ერთუჯრედიან ამ კაც-ამებას, ანონიმობა რომ ჰგვრის
ამებას,
პატიოსანი, ალალ-მართალი, მშრომელი კაცის უყვარს
წამება!..
ჯლაბნის წერილებს ცილისმწამებლურს! (ვერ დააძინეს
ძილის წამლებმაც!).
მალე მოელის გამომჟღავნება და, სადაც ჯერ არს, იქ
მიბრძანება!..

შური და ღვარძლი

„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს!“

უილიამ შექსპირი

იყო... მ ა რ თ ლ ა იყო... ცილისმწამებელზე უარესი რა იქნებოდა?.. იყო ჭორის ერთი ავგუდა, ორი ავგუდა, კიდევ ერთი... სულ სამნი იყვნენ. ერთმანეთს არც იცნობდნენ, მაგრამ ერთ ბოროტ მუზას (მუზებთან უკაცრავად!) ემსახურებოდნენ, ერთნაირი განცდები ამოძრავებდათ: ღვარძლი, შური... **მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა!..** სამივენი ანონიმები არ იყვნენ, მაგრამ მერმე რა? კაცი ხელს მაგრად გართმევს, ტკბილად გიღიმის, მხარზე ხელს გითათუნებს, თვალს მოეფარება და... სამარეს გითხრის, ხითხითებს, ქირქილებს, კბილებს აკრაჭუნებს, მკერდზე მუჭს იბრაგუნებს!.. ასეთ მოყვარეს ანონიმი არ სჯობს?

ვალერიან იოსების ძე გოშაძე, თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი. ორი ათეული წელი უღიმოდა და ეფერებოდა კოლეგას, თანამშრომელს. თურ-

ფელეტონი

მე ნიადაგ ღვარძლს ატარებდა გულში და იმის ფიქრში იყო, რით გაემწარებინა კაცი. წერდა მაშინ, ყველას რომ ეძინა, წერდა მარცხენით, კბილებში გარჭობილი ფანქრით, წერდა და გზავნიდა ზემდგომ ინსტანციაში, უფრო ზემდგომში, კიდევ უფრო ზემოთ!.. გვიშველეთო, მოთქვამდა, აგვიკლონო, ყალბი საბუთებით მიიღონო ოროთახიანი ბინა, მამამისის საბუთით უკანონოდ სარგებლობსო საქალაქო ტრანსპორტით, თაღლითობსო!..

მოვიდნენ, ნახეს, იძიეს, ამოწმეს; შეწუხდა ხალხი, დაიხარჯა მელანი, ქაღალდი, დრო, ნერვები!..

არცერთი ბრალდება არ დადასტურდა!..

სამაგიეროდ დადასტურდა ვალერიან გოშაძის არაკაცობა, რომელიც იურისპრუდენციის ენაზე კვალიფიცირდება 137-ე მუხლის პირველი ნაწილით და ითვალისწინებს ჯარიმას 200 მანეთის ოდენობით!

შეიძლება თქვათ, რა დიდი ამბავიაო, მაგრამ სასამართლო პროცესი ხომ საჯარო იყო და საშუალო სკოლაში მთელი კოლექტივის თანდასწრებით ჩატარდა!

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ცარიელსიტყვაობის მონოლოგი

პ ა რ ო დ ი ა

რა ქვეშქვეშა, რა ჩუმჩუმა, რა მყრალი ვარ, — იცი, განა?!
რა შურით ვარ ავსებული, რა მწყრალი ვარ, — იცი, განა?!
ანონიმურ წერილების მწერალი ვარ, — იცი, განა?!
მთავრობასაც შეუტყვია, რავარი ვარ, — იცი, განა?!
შენ არ შეგიტყვია, განა?! მაშ, არ შეგიტყვია, განა?!
ახლა მოდი, მოგახსენო, რად მოვკიდე ხელი წერას! —
არ გეგონოს, უსაქმობით ატანილი ვყავდე წერას! —
გულში მიზის წერის მწერი, — მწყერი ვნახო, აღვწერ ძერას!
რას ვაშავებ?! — თეთრს ვაშავებ! — თუ არ შავად, ვიტყვი ვერას!
რასაც ვნატრობ, მას ვწერ მარტო! — მართალი ვარ, — იცი, განა?!
რასაცა ვწერ, ჩუმადა ვწერ, ღამ-ღამე ვწერ და ვწერ მარტო!
ყველას მოხსნას, ყველას ჩასმას, ყველას გაფუჭებას ვნატრობ!..
მადლიერი თუ არვინ მყავს, ასპარეზი ხომ მაქვს ფართო?!
სხვას არ ართობს, სხვამ იკითხოს! — მე კი ჩემი ღვაწლი მართობს!
ერთს დავწერ და ჩამოჰყვება კომისიას კომისია!..
და წრიალებს ჩემი გმირი: „ეს ხალხი ვინ მომისია?!“
სხვას ვტანჯავ და მე ვიცინი! — შევასრულე ხომ მისია?!

მოსე ქარჩავა

ნახ. ჯ. დეისაძისა

— მთელი თავისი სიცოცხლე უსახელო წერილებს წერდა და საფლავიც უსახელოდ დარჩა!..

„**მაშ** ასე! ერთ მხარეს — სულით ხორცამდე დემაგოგ-მომჩივანი, მეორე მხარეს — სახელმწიფო ორგანო, რომელიც თავისი სტატუსით მოწოდებულია შეისწავლოს ჩივილის მოყვარულის ოპუსები. სამუშაოს სწყდება სახელმწიფო დაწესებულებათა ასობით თანამშრომელი, იხარჯება სახსრები, მახინჯდება ადამიანთა ბედი, ირღვევა ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობათა ატმოსფერო!..“

„ლიტერატურნაია გაზეტა“

— სამზეოზე!

ნათელა ზალიკას ასული ხაბალაშვილიც მასწავლებელია, მეტიც, სასწავლო ნაწილის გამგე იყო ქარელის რაიონის სოფელ ხვედურეთის საშუალო სკოლაში. მან სხვა მეთოდი აირჩია კოლეგის გასამწარებლად. არც კარჩაკეტილს უწერია და არც მარცხენით: დაიმუქრა, დაწერა და აფრინა ზემოთ — თუ არ მოგვეშველეთ, ვიღუპებითო — სკოლის დირექტორმა წკრიალაშვილმა სკოლის კუთვნილი სამშენებლო მასალები მიითვისაო, შრომის მასწავლებელ მასურაშვილს უკანონოდ აძლევენ ხელფასსო, ესაო და ისაო!..

მოვიდნენ, ნახეს, იძიეს, ამოწმეს; შეწუხდა ხალხი, დაიხარჯა მელანი, ქაღალდი, ნერვები, დრო!..

არცერთი ბრალდება არ დადასტურდა!

სამაგიეროდ დადასტურდა ის, რომ ცილისმწამებელ ნათელა ხაბალაშვილის მებრძოლი პათოსის საფუძველი იყო მასურაშვილის მიერ ხაბალაშვილის გოგონასათვის შრომაში დაწერილი „4“, მასურაშვილი კი დირექტორის მეუღლეა.

შედგა სასამართლო პროცესი, ხაბალაშვილის დანაშაული დადასტურდა, შეეფარდა სათანადო მუხლი და სასჯელი, საკმაოდ მსუბუქი: სამი თვის ხელფასიდან 20 პროცენტის დაქვითვა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ გგონიათ, ნათელა ხაბალაშვილს შერცხვა და თავზე ნაცარი წაიყარა? ადგა და ახლა საკასაციო ორგანოები შეაწუხა. ამაოდ. განაჩენი ძალაში დარჩა!

უფრო მკაცრი მსჯავრი გამოუტანეს მანანა ანტონის ასულ გაბედავას, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის კულტურის სახლის სამნეო ნაწილის გამგეს, — სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სხვადასხვა შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო (რომელთაც გაბედავას ქალი ყოველთვის უხვად შოულობს) სასჯელის აღსრულება გადაიდო ორი წლით. სამეურნეო ფრონტის მუშაკი ადრეც იყო შემჩნეული ჭორისა და ღვარძლის გავრცელებაში, მაგრამ იოლად გამოძვრა — სულ რაღაც 60 მანეთით გადარჩა. ამჯერად ცილისწამებას საქვეყნო აყალმაყალი და მუშტი-კრივი დაუმატა — ავტოსადგურში სილა გააწა სრულიად უდანაშაულო კაცს, ლანძღა და აგინა!..

ალბათ დადგება დრო, როცა ცილისმწამებლებზე ვიტყვით: იყო და არა იყო რა...

მანამდე კი „ნიანგს“ მათთვის ნიადაგ ალესილი ექნება ჩანგალი და დაუხანებლად სამზეოზე გამოიტანს შურისა და ღვარძლის ავგუდებს!

ს. ხვამლელი



„ნუ ცილსა პსწამებ!“

„რომელი ცილსა შესწამებდეს გლახაკსა, ფრიად ჰყოფს თავისა თვისისა ბოროტსა და მიეცეს სიმდიდრეი მისი ნაკლულევანსა!“

„ვითარცა ვაზრი და მახვილი და ისარი პირეული, ეგრეცა კაცი, რომელი შესწამებდეს მეგობარსა თვისსა წამებასა ცილსა!“

„ცილისა შეწამებამან შეარყიის ბრძენი“.

„ბიწ ბოროტ არს კაცისათვის ცილისა სიტყუაი“.

„ვაი არს შენდა, ნიკონ, რამეთუ ცილი დასდევ სტეფანეს ტყუვილითა შენითა, მოაკუდინე იგი ენითა შენითა!“

„და მისგან გამოვლენან ანგაპარებანი ბოროტნი, სიძვანი..., სიღოდანი, ცილობანი და ცილის წამებანი.“

„არა ეშურობდეთ ურთიერთსა და არც ვსძულობდეთ და შევიჯამებოდით ურთიერთას ცილის შეწამებითა და განკითხვითა!“

„მრავალგზის აღბორგებულნი ვინმე ეშმაკისაგან აღიჭურვიან საეშმაკოთა რათმე შურმტერობათა ძლით ცილისწამებადცა“.

„ცილის-მწამებელნი უბრალოთანი და მგიობელნი და შემასმენელნი კეთილისმოქმედთანი, პირისა მიერ აღასრულებენ ცოდვასა“.

„მოწამეი მტყუვარი არა უტანჯველ იყოს, ხოლო რომელი აბრალებდეს ნაცილად, იგი არა განურეს!“

„დაიცევ თავი შენი და ენაი შენი შურისაგან და შესმენისა!“

„სადაით უკუე შემოვიდა სიკუდილი? არა ყურთაგანა, რომელთაგანცა შემოვალს შესმენაი მაკუდინებელი?“

„მოკრიდე ყოველსა ცოდვასა, რომელი მოაწევს დაჭირვებასა და უფროისლა შესმენასა!“

„ფრიადითა გამოწულილვითა სახმარ არს გამოკულევით გამოძიებაი შესმენათაი“.

„ეკრძალნეთ... შესმენისა ტყუილისაგან!“

„იყავ შენ მარადის შემასმენელ თავისა შენისა!“

„ხოლო შემასმენელი, ვერ გამომაჩინებელი ანუ მტოლველი, განისადებოდედ სამთავროისაგან, რომელსა შინა მკვიდრობდეს!“

„ხოლო ეშმაკი გამოითარგმანების: შემასმენელ“.

ამოკრიბა ალექსი ჟინჟარაულმა

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ა. ელისეევისა (ჟურნალი „კროკოდილი“)

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

— ᲘᲫᲘᲜᲔ ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲝ! ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲔ — 60

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲘ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 60 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲐᲜᲝᲜᲘᲛ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲡ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲔᲡ. ᲐᲛ ᲗᲐᲠᲘᲦᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ. ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ:

ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲔ ᲘᲛ ᲗᲐᲝᲑᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ. ᲐᲛᲐᲓᲐ ᲐᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲘᲬᲔᲠᲐ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠᲘ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲖᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲘᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲝᲕᲐ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲣᲠᲛᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲛᲐ „ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲦᲕᲐᲠᲫᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ. ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲘᲨᲣᲠᲔᲑᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲤᲔᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲦᲔᲑᲐᲕᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲪᲔᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ, ᲘᲛ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲣᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲔᲞᲝᲠᲐ „ᲞᲐᲠᲐᲞᲐᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲘᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗᲥᲕᲘᲗ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ.

ᲮᲐᲖᲒᲐᲡᲛᲘᲗ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲔᲛ ᲐᲛ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲘ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲙᲕᲘᲓᲠᲐ. ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲫᲔᲠᲬᲕᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ (ᲛᲮᲘᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ „ᲕᲘᲡᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ“, „ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ“, „ᲚᲔᲘᲚᲛᲐᲯᲜᲣᲜᲘᲐᲜᲘᲡ“ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ), ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲞᲐᲒᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲐᲜᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡ.

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲖᲔᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲢᲝᲚᲝ „ᲛᲔᲮᲗᲐᲢᲔᲮᲐ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲰᲐᲒᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠᲐᲡ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ. ᲐᲛᲘᲗ ᲙᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲜᲐᲙᲐᲓᲡ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲣᲚᲘ ᲢᲝᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ „ᲒᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘ“, ᲐᲛ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐ�გᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲓᲘᲓ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲓᲐᲡ ᲐᲦᲫᲠᲐᲕᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ. ᲦᲕᲐᲠᲫᲚᲘ, ᲨᲣᲠᲘ, ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲐ, ᲓᲐᲡᲛᲔᲜᲐ, ᲓᲐᲑᲔᲖᲦᲚᲔᲑᲐ! — ᲐᲘ, ᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲐᲦᲬᲔᲕᲡ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐᲜ ᲘᲜᲢᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲔᲬᲔᲕᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲦᲕᲐᲠᲫᲚᲝᲑᲐᲡ, ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲐᲜᲝᲜᲘᲛ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲐᲓ. ᲘᲧᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲦᲕᲐᲠᲫᲚᲘᲡ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲮᲘᲓᲕᲔᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ (ᲛᲮᲘᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ „ᲕᲘᲡᲠᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ“, „ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜᲘᲐᲜᲘᲡ“, „ᲚᲔᲘᲚᲛᲐᲯᲜᲣᲜᲘᲐᲜᲘᲡ“ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ), ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲐᲓ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲞᲐᲒᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲐᲜᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲡ.

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲖᲔᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲢᲝᲚᲝ „ᲛᲔᲮᲗᲐᲢᲔᲮᲐ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲰᲐᲒᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲟᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲠᲐᲡ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ. ᲐᲛᲘᲗ ᲙᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲜᲐᲙᲐᲓᲡ ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲣᲠ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲖᲔᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲔᲡᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲐᲫᲘᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲢᲝᲚᲝ „ᲛᲔᲮᲗᲐᲢᲔᲮᲐ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲘᲐ, ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲘ, ᲪᲐᲪᲘᲐ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘᲐ!..

ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲬᲔᲠᲡ
ᲔᲡ ᲝᲠᲤᲔᲮᲐ ᲦᲐᲛᲣᲠᲐ,
ᲓᲐᲐᲑᲜᲔᲚᲐ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲖᲔ,
ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ �გᲐᲛᲣᲠᲐ!..

ᲤᲝᲠᲛᲘᲗ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲙᲐᲪᲡᲐ
ᲰᲒᲐᲕᲡ,
ᲡᲘ�გᲠᲫᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ �გᲐᲜᲘ ᲐᲥᲕᲡ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ �გᲣᲚᲦᲠᲫᲝ, ᲤᲚᲘᲓᲘ
ᲓᲐ
ᲡᲣᲚᲘᲗ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲐᲜᲘᲐ!..

ᲤᲘᲪᲐᲕᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲔᲠᲘᲡ ᲛᲖᲔᲡ,
(ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲒᲕᲔᲚᲘᲐ!).
ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ, ᲔᲠᲘᲓᲔᲗ:
ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

ᲕᲐᲜ-ᲪᲘᲜᲘ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ, ᲔᲠᲘᲓᲔᲗ!

ᲣᲪᲥᲔᲠ — ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲙᲐᲪᲘᲐ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲚᲘᲐ,
ᲐᲜᲝᲜᲘᲛᲘ, ᲪᲐᲪᲘᲐ
ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲘᲐ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკეთეს სახელია მონება!..

გაგიჟდები, რომ ნახო —
რა ხელრთვა აქვს, რა ხელი!
მაგრამ მერე რად გინდა?!.
კაცს არა აქვს სახელი!

გრიშა ჰქვია? ვალიკო?
ქურხულია? ჯაყელი?
დავიჯერო, ნათლიამ
არ დაარქვა სახელი?

მეგრელია? გურული?
რაჭველია? კახელი?
როგორ არ შეგებრალოს?!
კაცს არა აქვს სახელი!

ხელი მართლა კარგი აქვს!
მაგრამ გვარი? სახელი?
თავით (თუ აქვს საერთოდ!)
კედელზეა სახალი!

თუმცა უსახელობა
ნუ აფიქრებს ანონიმს:
უსახელო მჯღაბნელებს
სახელს არქმევს კანონი:

გ ვ ე ლ ი — მისი გ ვ ა რ ი ა,
შ ხ ა მ ი — მისი ს ა ხ ე ლ ი,
აი, მისი პორტრეტი,
შხამით გამოსახული!

უ ს ა ხ ე ლ ო უ რ ი

ნახ. მ. აბაშიძისა

უ ს ი ტ ყ ვ ო დ

მჯღაბნელიზმები

● **მაშინ** ი ხ ა რ ე ბ ს მჯღაბნელი, ოდეს მიითვლის ჭორებსა; კუზიანს, სანამ მოკვდება, ნეტავ, რა გაასწორებსა?!

● **ნაცილი** მ ჯ ღ ა ბ ნ ე ლ ს ჰგონია მსუქანი ხორცის ნაჭერი, ჩაიწერს, ჩაიტკბარუნებს ენაზე კბილის დაჭერით.

● **უფრო** ც ხ ა რ ე დ ეწერება პირველ მამლის ყივილამდე; ბოღმობს, ჯღაბნის, უხარია — ვინ გაუძლებს ტკივილს ამდენს?!

● **ავტომატივით** შ ე მ ა რ თ ა მოენემ ავტოკალამი, სათვალე ცხვირზე მოიგდო, დაჯდა მკლავდაუღალავი, გულს უმიზნებდა ტყუილებს, სვამდა ტყვიაში ტყვიასა, ინფარქტიანთა ბუმბული ველად მიჰქონდა ნიავსა!..

● **ბოლოს** შეჰყარნა კანონმან მჯღაბნელნი, შურის მქონენი, რეჟიმის კოლონიებში გარეკა, როგორც მონები.

შ ე ბ ო ნ ე ბ ა - ნ ა ტ ვ რ ა

ნეტავ როდის დაგვიდგება ის ნეტარი წელიწადი,—
ეშმაკს ედოს მათლაფაზე მაგეზღარა ენის მწვადი!

ელგუჯა მერაბიშვილი

ჯემალ აფციაური

ხელითა მარჯვენითა!

ჩვენი ქვეყანა დღეს გარდაქმნილა და დაზმარების, განახლებისა და აღმაფლობის გზას ადგას – ბუნებები, ეროვნული, უბენი მზე გვიფრთხილებს და ზენ მიგვიკარნა. ყველაფერი, რაც ამ გზაზე გველიზება, ძალეგითი არის ახალგული და ავი ამიტომაც ასე ფარფიდ გაგვიღი კარი სიმამოლეზე! ზმილება, კრიტიკა ცხოვრების ნორმა გახდა, ბიჭრან ფეზოკრატიაზი მორეკი კარ არის, რომ ზოგიერნი დასიფულნი კაგენიეთ ზეკარდეს ზიე ლაფსა და ლარაფნის ჩამოსასანად! ახე კი ზდება – ზოგჯერ სწორედ ის უკრავს სიმამოლეს ფარფოტას, ვისთვისაც სამარილანობა გაუეგბარი ენუნა და საკუთარი ნაკლის ზემ-ჩნევისას ეკერდელის სიტეკე სჭირს!..

კი, ბატონო, ნაკლის ზმილებისთანა კალაზე კრანაზა უნდა ვკუნავ, ლეზენიდა არ უნდა გავთანოთო, ეიორმი ოოხი და ნაზეკილ გაეეგმოთო, ბაგრან ეს ერთიგან ნაბოლეთ სიმეფიდრის – ვკარიბა და ნაზეკილს დამაკეკა რაკა არის, რომ ბავანი ერთსაც და ზეორეზეკ ეეეზლეს უფლო ბეკეეზეკ ნანაკეთ ეეეზეკ ეეეზეკ ეეეზეკ

ფრანსუა ვიიონი

(მე-15 საუკუნის დიდი ფრანგი პოეტი)

ბალადა

ბოროტი ენები

ჩაისხას ქვაბში ფურთხზე დამდგარი
ჭვარტლი, გვარჯილა, გახსნილი კირი,
გამდნარი ტყვია და რეალგარი,
შენელებული სკორით და წვირით,
ურიის შარდის ნაყენი მყრალი,
კეთროვნის ფეხთა ნაბანი წყალი,
ზედ მოეპკუროს შხამ-სისხლი გველის,
გეენის ცეცხლზე გაჯერდეს წვენად
და შიგ იხარშოს ათასი წელი
მოენისა და მოშურნის ენა.

ანდა: ჩაშუშდეს უკბილო კატის
დაფქვილი ტვინი, დაფხვნილი გული,
დამპალი ვირთხის დრუნჩი და თათი,
ჩექმის ნაფხეკი, მყონავი წყლული,
უძუაფაფრო ჯორების ოფლი,
ცოფიან ძაღლთა დუჟი და დორბლი,
შავი ნაღვეღი მგლისა და მელის,
ხვლიკი და ბლოკვი, ფენა და ფენა,
და ზედ იბრაწოს ათასი წელი
მოენისა და მოშურნის ენა.

ანდა: სუბლიმატს, შეხებად საშიშს,
დაერთოს სისხლი, ჩასხმული პალეტს,
სავსემთვარობას, როკაპთა სვლაში,
შედედებული შავად და მწვანედ,
ჩირქ-ბალღამ-გესლი აურაცხელი,
საროსკიპოთა ზინთის, ნარწყევის,
მწიდოვანების ნახარში სქელი,
მოდულებული უკურნელ სენად,
და ზედ იხრაკოს ათასი წელი
მოენისა და მოშურნის ენა.

პრინცო, ვინც არი დანატრებული
ცილით, ბეზღებით მოყვასის წყენას,
მიერთვათ, წვეულთ სრული კრებულით,
მაკარიულად შენელებული
მოენისა და მოშურნის ენა.

ფრანგულიდან თარგმნა

დავით წერედიანმა

ინტერვიუ ანონიმური წერილების მჯღაბნელთან

— როდის დაწერეთ პირველი ანონიმური წერილი და რა იყო მიზეზი?

— პირველი ანონიმური წერილი დავწერე ჯერ კიდევ მეათე კლასში სწავლისას ფრიადოსან მოსწავლეზე. მიზეზი ის იყო, რომ მშურდა: რატომ მას უნდა მიეღო ოქროს მედალი და არა მე?!.

— თქვენი ანონიმური მოღვაწეობის პირველ პერიოდში იმ მოსწავლის შემდეგ ვინ გახდა თქვენი კალმის მსხვერპლი?

— მასწავლებლები, რომლებიც ხუთიანს უწერდნენ იმ ნიჭიერ გოგონას. ყველას არა, მაგრამ ორ მათგანს საკმაოდ შევულახე რეპუტაცია, არადა, ისინი არაფერ შუაში არ იყვნენ, სწავლობდა ის გოგო კარგად და ამათ რა ექნათ?!

— საერთოდ, ვისზე წერთ ძირითადად?

— ძირითადად იმათზე, ვინც მე არ მომწონს და არ მიყვარს, განსაკუთრებით — ავტორიტეტულ პირებზე, თუმცა ერთხელ ჩემს ოჯახსაც კი ვუჩივლე, ჩემზე რომ ეჭვი არ აეღოთ!..

— დღემდე რამდენი უსახელო წერილი და საჩივარი დაგიწერიათ?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ის კარგად მახსოვს, რამდენ კაცს მივაღებინე ინფარქტი, რამდენს ოჯახი დავუნგრიე და რამდენი თანამდებობიდან მოვახსნევინე!

— კი, მაგრამ, უჯერებენ და აქცევენ თქვენს საჩივრებს ყურადღებას?

— ზოგჯერ კი! წარმოიდგინეთ, თქვენ რომ რვა კაცმა სხვადასხვა შინაარსის საჩივარი დაგიწეროთ სხვადასხვა ინსტანციაში, ძალაუნებურად არ შეეპარებათ თქვენზე ეჭვი? ეს რვა კაცი ვართ: მე, რომელიც ვწერ მარჯვენით, მარცხენით, კბილებსა და მარჯვენა ფეხის თითებში გაჩრილი პასტით, ესე იგი, მარტო მე ვწერ ოთხი კაცის მაგივრად, პლუს ამას ჩემი სამი შვილი და მეუღლეც წერენ. ასე და ამგვარად, გამოდის რვა კაცის ნაწერი!

— მაინც როდის წერთ, როდის ასწრებთ ამდენს?

— ორ სამუშაოზე გაფორმებული ვარ ეგრეთ წოდებულ „მკვდარ სულად“ (მაქვს ორი შრომის წიგნაკი), სინამდვილეში ვზივარ სარდაფში და ვწერ!

— ახლა, როცა უკვე დანაშაულში გამხილეს და ალბათ მალე პასუხსაც გაგებინებენ, რას აპირებთ სასჯელის მოხდის შემდეგ?

— პირველ რიგში უნდა ვუჩივლო იმათ, ვინც მე სამუშაოზე ყალბად გამაფორმა, ამ საჩივარს ნამდვილად მოვაწერ ხელს, შემდეგ კვლავ უნდა ვუწერო წერილები და სისხლი გავუშრო ყველას, ვინც მე რაიმეში მჯობნის. ამ საქმეში დამეხმარებიან შვილებიც. ისინი ისე არიან გაწაფული, რომ მგონი მეც მაჯობებენ.

— ამჟამად რას აკეთებთ ან რას აპირებთ?

— ვწერ საჩივარს მასზე, ვინც მე პასუხისგებაში მიმცა. რაში ვარ დამნაშავე? მე რასაც დავწერ, ეგ ხომ ჩემი პირადი საქმეა, მაგრამ თუ მართალი არა ვარ, რატომ აძლევენ ჩემს წერილებს მსვლელობას? გადაწყვეტილი მაქვს აგრეთვე შევაგროვო, ფაქიზად გადავწერო და შთამომავლობას შევუნახო ყველა ჩემი ანონიმური წერილი, რომელთა დედნებით სავსე მაქვს მთელი სარდაფი, რადგან ბევრი მათგანი ისეთი ფანტაზიითაა შექმნილი, რომ მხატვრული ღირებულება აქვს. ამათ შევალიე მთელი ჩემი სიცოცხლე და როგორ დავკარგავ?!. ბოლოს, მინდა მოვკვდე ანონიმურად და საფლავის ქვაზე წინასწარ წავაწერო ჩემი ფსევდონიმი!..

ინტერვიუ აიღო ვანო ცინცაძემ

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

დუშელი ქალბატონი მზია

უშრომელი შემოსავლით გამდიდრების მიმზიდველ, მაგრამ მოლიპულ გზას დაადგა **ქ. დუშეთში მცხოვრები მზია იოსების ასული პაპიაშვილი.** იგი ტკბილი ენით აცთუნებდა გულუბრყვილოებს და რაღას აღარ ჰპირდებოდა!..

ამ გზით გულუბრყვილოებმა და დოყლაპიებმა ერთხელ მას **1100 მანეთი მიუთვალეს, მეორედ — 2000, მესამედ — 3000, მეოთხედ — 4000, მეხუთედ — 6500 და მეექვსედ — 7300.** უხვად გაცემული ფულის საფასურად მზიამ გულუბრყვილოები დაიმედა, მსუბუქ ავტომანქანებს უწვალებლად შეგაძენინებთო!

უშრომლად რომ ჩაიჯიბა ამოდენა თანხა, **მზია** მოხერხებულად ემალებოდა მათ, ვისგანაც ფულები მიიღო. დრო გადიოდა და ფულის პატრონებმა ძებნა დაუწყეს მომტყუებელს. პირველ ხანებში ვერ პოულობდნენ. მერე კი მილიციის მუშაკთა დახმარებით მიაგნეს. მისგან მოტყუებულმა **შ. ზ-მ** რის ვაი-ვაგლახით წაართვა მას თავისი 3000 მანეთი, რაც ავტომანქანა „ნივის" შეძენის რიგის დათმობაში დასტყუა მზიამ. 7300 მანეთიდან მზიასაგან დიდი წვალებით დაიბრუნა უკან 3000 მანეთი **მოქ. ვ. გ-მ.** ეს იყო და ეს!.. დანარჩენი ფულები მზიამ შეიტყაპუნა!..

დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლომ მ. ი. პაპიაშვილს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციით. მასვე დაეკისრა მოქალაქეთაგან მითვისებული 8000 მანეთის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ამის გამო ქალბატონი **მზია** განაწყენებულია და საპატიმრო ადგილიდან საჩივრებს გზავნის სხვადასხვა ინსტანციაში: — ქალი ვარ, შემიბრალეთო, მაგრამ შემბრალებელი არავინ ჩანს!..

ან კი რად უნდა შეიბრალონ?!

ს. ცაგერელი

ვაითუ?!.

ახლობლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო!..
ჩემი ნათესი ბალახი
გრანიტით დაფარულიყო!..

თავს მესაფლავე წამადგა,
საქმეზე გამოსულიყო,
ვკითხე: „შეძლებდა ცხედარი
აქედან გაპარულიყო?"

ჩაიღიმ-ჩაიქირქილა,
თითქოს თქვა: „დიახ, დიახო!"
და დაკოჟრილი ხელები
წერაქვს და ნიჩაბს შეახო.

თვალცრემლიანი მივვარდი
და ვთხოვე, არ წასულიყო,
მობრუნდა, მომეალერსა:
„გულს ნუ გაიტეხ, სულიკო!"

წვრილად მიამბო ყოველი,
რაც უკვე გარდასულიყო:
ჩემი ახლობლის საფლავი
დიდ ფასში გაყიდულიყო!..

გულამოსკვნილი ვტიროდი,
აღარ ვჩიოდი სულიკოს,
იმას ვდარდობდი: „ვაითუ,
ნამუსის ნაცვლად ფულ იყოს?!"

* * *

მოისტამბულა,
მოირომა,
მოიპარიზა!..
მობრუნდა შინ და
გაახსენდა ნახვა
ჯვარისა!..

ნახა გარეჯი,
ქვათახევი,
ნახა ვარძია,
მთლად არ შეშლილა, —
ჯერჯერობით ნახევარზეა!

ათვალიერებს:
მცხეთას, გელათს, იყალთოს,
ყინწვისს...
და საკუთარი ნამუსის წინ
სირცხვილით იწვის!..

ნიკოლოზ იოსებიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველისმეტ,
ყოთიო
მძეოლოო:

ასეთია შენი
ბოლო!

პლაკატი ზ. ლოლუასი



ნახ. 3. ეროვნული

ეროვნული „ნაბიჯები“ და „ეროვნული ოქროს ფონდი“ ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი



ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკი ეროვნული ბანკი

ნახ. ვ. ლოლაძისი

— პატ. მასწ! გამიშვით რა?! ჩემი მანქანის სიგნალიზაცია ჩაერთო!..

ნახ. ავთანდილ გოჩაშვილისა

ბოროტი ჯადოქარი

— ეს, ძმაო ინსპექტორ, ბოროტი ჯადოქარია. ამ ბოროტ ჯადოქარს ბევრი ადამიანი ბოროტ ადამიანად ექცევა. ეს ბოროტი ჯადოქარი ადამიანებს ბოროტ ადამიანად ექცევა, ბოროტ

ავტოსფერო ეკონომიკა

დღეისათვის რესპუბლიკის საავტომობილო პარკში ასიათასობით ავტომანქანაა. გზებსა და გზაჯვარედინებზე განსაკუთრებით ინტენსიური მოძრაობაა. ბუნებრივია, მწვავდება ამით წარმოშობილი პრობლემებიც. **1986 წლის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 2492 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა შედეგად გარდაიცვალა 645 და დაშავდა 3009 ადამიანი!.. 1985 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ავტოავარიათა რიცხვი 60 ერთეულით შემცირდა: გარდაიცვალა 15 ადამიანიანაკლები, ხოლო დაშავებულთა რაოდენობამ 109 ერთეულით იკლო.** მაგრამ ეს როდი ნიშნავს პრობლემის სრულ გადაჭრას! — ამ მწრივ გასაკეთებელი, საფიქრალ-საზრუნავი გაცილებით მეტია და უცილობლად მოითხოვს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამიზნული საქმიანობის შემდგომ გააქტიურებას!

ავტოავარიათა გამომწვევი მიზეზები მრავალგვარია, მაგრამ, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, მთავარი მაინც ის არის, რომ **რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მეტად დაბალია მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის კულტურა!**

ეს გარემოება კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ დაადასტურა ამას წინათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთობლივად განხორციელებულმა ოპერატიულ-პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა: **ათიოდე დღეში სარეიდო ჯგუფებმა საგზაო მოძრაობის წესების 5 ათასამდე დამრღვევი მძღოლი გამოავლინეს! იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რამდენი დამრღვევი დარჩა შეუმჩნეველი და დასუსტებული, აღვილი წარმოსადგენია ჩვენი მძღოლების დისციპლინის სიავკარგე.**

განსაკუთრებულ აღფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ **გამოვლენილთა შორის 300-ზე მეტი მძღოლი მთვრალი მართავდა სახელმწიფო თუ საკუთარ ავტომანქანას.**

აი ზოგიერთი მათგანი, ვისაც ეს ადამიანური ღირსების შემლახველი საქციელი დიდ დანაშაულად არ მიაჩნდა და შეზარხოშებული მართავდა საჭეს: **ზესტაფონის მე-4 საექსპლუატაციო-სამშენებლო უბნის ინჟინერი მ. ჭულუხიძე, საჩხერის ბამბეულის ფაბრიკის ცვლის უფროსი ა. ხვედელიძე, ამავე რაიონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტექნიკური კონტროლიორი ს. არსენიძე, ტყიბულის ადგილმრეწვის მთავარი მექანიკოსი ნ. ჯანელიძე, თბილისის სილიკატების ქარხნის ზეინკალი გ. თვინავიძე, არგვეთის საშუალო სკოლის პედაგოგი მ. გვეხიძე** და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა ჩვენი ბუკლეტის ფორმატის სიმცირის გამო შეუძლებელია. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საჭესთან ლოთობა მეტად ძვირად უჯდება სახელმწიფოს და საზოგადოებას როგორც მორალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით და თუ ამგვარი შემთხვევები კიდევ ხდება, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ მიმართებით ბრძოლა ზოგჯერ ფორმალურ ხასიათს ატარებს, თითოეულ ფაქტზე განგაშს არავინ ტეხს, ნაკლებად აწუხებთ მოსალოდნელი მძიმე შედეგი და, ბუნებრივია, აუცილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებებიც არ ხორციელდება. შექმნილი ვითარება კი გვიკარნახებს, რომ ბრძოლა კიდევ უფრო მეტი სიმწვავით უნდა წარვმართოთ და საყოველთაო გავხადოთ! მხოლოდ სახელმწიფო-ავტოინსპექციის მოღვაწეობა წყვეთი იქნება ზღვაში!

მომავალში, შესაძლოა, ტექნიკურმა პროგრესმა უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის სრული უსაფრთხოება, ავტომატიკამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უშუალოდ თავად იკისროს სატრანსპორტო ნაკადების მართვა, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. ჯერჯერობით კი უსაფრთხოების უზრუნველყოფა უწინარესად თვით საგზაო მოძრაობის მონაწილეებზეა დამოკიდებული, კვლავ წინა პლანზე დგას მძღოლებისა და ქვეითად მოსიარულეთა პირადი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. პრობლემა კვლავ მძაფრია და ისევ ინარჩუნებს აქტუალობას!

ოფიციალური ცნობები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საგზაო მოძრაობის უშიშროების უზრუნველყოფის რესპუბლიკური კომისიის განახლებული შემადგენლობა (კომისიის თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ვადაჭკორია, მდივანი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი ინჟინერი ამხ. პ. კოვალჩუკი).

—:—:—

1987 წლის იანვრიდან მუშაობას შეუდგება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალიზებული სამინტაჟო-საექსპლუატაციო სამმართველო, რომელიც უხელმძღვანელებს საგზაო მოძრაობის რეგულირების ახალი ტექნიკური საშუალებების დანერგვას, დადგმასა და ექსპლუატაციას მთელს რესპუბლიკაში.

—:—:—

უკანასკნელ ხანს საავტომობილო ვითარების მნიშვნელოვან გართულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავისი დადგენილებით განახლა ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის საქმიანობა (ჯგუფის ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ვადაჭკორია, მდივანი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. შ. ნადარეიშვილი).



ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ნასვამი მძღოლების მიზეზით ხდება 2 მილიონზე მეტი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც საშუალოდ იღუპება 25 ათასამდე ადამიანი, ხოლო 650 ათასამდე ღებულობს სხეულის დაზიანებას. ამიტომ იყო, რომ აქ არსებულმა მთვრალი მძღოლების წინააღმდეგ მებრძოლმა დედათა ორგანიზაციამ კატეგორიულად მოითხოვა სპირტიანი სასმელების მწარმოებელი საწარმოებისაგან, აკრძალონ ალკოჰოლის მიღების შემდეგ ავტომანქანების მართვის რეკლამირება. არის აშშ-ში საწარმოები, რომლებიც, თავიანთი პროდუქციის გასაღების მიზნით, რეკლამას უკეთებენ მაგარი სასმელების უვნებლობას მანქანის მართვისას!

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფტალმოლოგიური საზოგადოების მოხსენებაში გამოითქვა ვარაუდი, რომ საგზაო-სატრანსპორტო ავარიების რიცხვი შეიძლება შემცირდეს 100 ათასით წელიწადში, თუ გამოირიცხება შემთხვევები რომელთა მიზეზიც მძღოლების მხედველობის გაუარესებაა.

ინგლისში გამოცხადდა, რომ დასავლეთ ევროპის საავტომობილო ფირმები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შეუდგნენ პროექტის — „პრომეთეოსი“ — 8-წლიანი პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანია „21-ე საუკუნის ავტომობილების“ შექმნა. იგი აღიჭურვება სობორტო კომპიუტერით, რომელიც მიიღებს და გადაამუშავებს სხვა იმგვარი მანქანების კომპიუტერებიდან მიღებულ ყველა საჭირო ინფორმაციას საავარიო სიტუაციების შესახებ. პროექტის ავტორები ვარაუდობენ, რომ ეს ცნობები დიდ სამსახურს გაუწევს მძღოლებს და მოძრაობა პრაქტიკულად უსაფრთხო გახდება.

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში წელს უკვე მეცხრედ მოეწყო საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა „ავტოპროგრესი-86“, რომელშიც 30-მა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა. ექსპონატებმა წარმოადგინეს ნიშუნები, რომლებიც ასახავდნენ მიღწევებს ავტომობილების წარმოებასა და ექსპლუატაციაში, გარემოს დაცვაში, მოძრაობის უსაფრთხოებაში, მძღოლების აღზრდასა და სწავლებაში, სერვისსა და მანქანების ტექნოლოგიურ აღჭურვაში.

გამოფენა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იმართება.

დაკესასურეებული ლოთობა — საჭესთან

ამ დღეებში შედგა საჭესთან ლოთობისათვის „საპატიო ჯილდოს“ მიმნიჭებელი მუდმივმოქმედი კომისიის მორიგი სხდომა, სადაც განხილეს „ჯილდოსმაძიებელ“ ტრაქტორისტთა კანდიდატურები.

ამჯერად კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს **გორის რაიონის მექანიზატორთა** აშკარად უკეთესი „მაჩვენებლები“ და „საპატიო ჯილდო

ნახ. მ. აბაშიძისა

— მამაჩემო, ეს ის გამომცდელია, სამიანი რომ ვეხ-ვეწე, ახლა მაგან გეხვეწოს სამ მანეთად!..

104
18.11 87

— ერთი ჭიქა დაგვილიე, ოფიციანტ!

— გმადლობთ, აღარ შემიძლია!..

— ნუ ინაზები! სადაც ამდენი გიყლაპავს, ერთიც დაიტეხ-ვერივით ბიჭი ხარ, არ წაგაქცევს!

— მაშინ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი, თუ არ შემრისხავთ!..

— აბა, ჰე!..

— ცხონებული მამაჩემი დიდ სიბრძნეს მასწავლიდა; ნურავისი ნურაფერი შეგშურდება და ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში შენიც არავის არაფერი შეშურდებაო, შენც უნდა იცხოვრო და სხვაც აცხოვროო. ვენაცვალე ჩემს ხალხსაო, მე ერთი უბრალო კაცი ვარ, უწიგნური და უსწავლელი, მაგრამ, აბა, მიიხედ-მოიხედე, ჩვენს მეზობლობაში ვინ ცხოვრობს ჩემზე უკეთესადაო?! მთელი ჩემი ცხოვრება მამაძაღლობაში გამიტარებია, — ჰო, ასე ამბობდა ცხონებული, — მამაძაღლობაში გამიტარებიაო... მაგრამ, აბა, თუ ვინმეს უთქვამს, მე რატომ არა მაქვს და იმას რატომა აქვსო?! ვინმეს რომ დავებეზღებინე, ციმბირს აქეთ დამატოვებინებდნენ, შვილო, მაგრამ ასეთი რამერუმეები ჩვენს ხალხს არ უყვარს და ვენაცვალე იმასაო!..

— შენა? შენც ბევრს მამაძაღლობ თუ ცოტას?

— რა ვიცი, ვცდილობ, მამაჩემს არ ჩამოვრჩე!.. აბა, რა ვქნა, ჯერ მარტო ჩემი ბეყერი ბიჭის მოწყობა რა დამიჯდა, იცით? მერე მე ამდენი ფული საიდან მექნებოდა, თქვენ რომ არა მყავდეთ ასეთი კარგები? ძაღლი არ უნდა ვიყო, ქოფაკი ძაღლი, გულით არ დავლიო თქვენი სადღეგრძელო, ჩემი ხალხის სადღეგრძელო?!

მახსოვს, გამყიდველად რომ ვმუშაობდი, იმპორტულ ფეხსაცმელებსა ვყიდდი. ცოტა მეტს ვართმევდი მყიდველებს, აბა, რა მექნა?!. ჯერ მარტო ჩემს გოგოს მზითევში რამდენი გავატანე, იცით? აქეთ ავეჯიო, იქით მანქანაო და ათასი სხვა რამ და მერე

ქალაქი ლოდ ლოდელაქვით

ამ საახალწლოდ საყვარელ შვილებს ვესტუმრე ქალაქად
და ჩავუტანე სუყველას სოფლის ხვავი და ბარაქა!..
ვთქვი: დედის ხელით ნაშრომი გაინაწილონ ძმურადა!
ერთთან პირველად რომ მიველ, მეორე დამემდურა და
მესამემ ტელეფონიდან საყვედურებით ამავსო:
„ჰო, ვნახოთ, გაჭირვებისგან ვინ უფრო დაგიფარავსო!“
ერთ რძალს ქება რომ დავუწყე, მეორე ბოღმით გახელდა,
მესამემ ნიშნად წყენისა სამ დღეს თვალში არ ჩამხედა!..
ერთი რომ პურზე მგზავნიდა, მეორე მხდიდა მერძევედ,
ავცდი შემთხვევით კვარტალს და სახლი სამ საათს
ვეძებე!..
დადგა დრო ჩემი წასვლისა, შვილიშვილს ვეტიკტიკები:
„მომაძებნინე, ბებიკო, კალათები და ტიკები!“
„კალათები და ტიკები?“ — და ბალღმა თავი დახარა:
„იცი, ბებიკო? დედიკომ სანაგვე ყუთში ჩაყარა!..“
ასე დავბრუნდი სოფელში ხელდაცლილი და დაღლილი,
დღესაც სამ შვილთან სტუმრობა გულს მაზის სამი
დაღივით!

ეთერ სამხარაძე

(სულხან-საბას მიხედვით)

ერთი ძაღლი და ერთი მამალი დაძმობილდნენ: „ქალაქი ავაშენოთო!“ ძაღლმან უთხრა: „როგორ ავაშენოთო?“ მამალმან უთხრა: „შენ ასფალტი დააგე, მე მილებს ჩავაწყობ და აშენდებაო“. გავიდნენ მინდორში. ძაღლმან ასფალტით დატვირთული ოთხი „სამოსვალიდან“ ერთი „ლევად“ გაუშვა, იმ სამით თხელ-თხელი ასფალტი დააგო და ზედ „კატოკი“ გადაატარა. მერე დაწვა და დაიძინა. მივიდა მამალი, ასფალტი აყარა, წყალსადენის მილები ჩააწყო და დაიძინა. ადგა ძაღლი, კიდევ იშოვა ოთხი „სამოსვალი“ ასფალტი, ორი „ლევად“ გაუშვა, ორითაც „ლატკა“ დაადო აყრილ ქუჩას, მერე დაწვა და დაიძინა. მივიდა მამალი, ასფალტი აყარა, კანალიზაციის მილები ჩააწყო და დაიძინა. ადგა ძაღლი, იშოვა ოთხი „სამოსვალი“ ასფალტი, სამი „ლევად“ გაუშვა, ერთითაც „ლატკა“ დაადო დაჩეხილ ქუჩას, მერე დაწვა და დაიძინა. მივიდა მამალი, ასფალტი აყარა, კავშირგაბმულობის კაბელებისთვის ასბოცემენტის მილები ჩააწყო და ის იყო, უნდა დაეძინა, რომ მელას მათი შრომის ხმა ესმა, მოვიდა, მამალს ჰკითხა: „მანდ რასა იქმთო?“ მამალმან უთხრა: „ქალაქს ვაშენებთო“. მელამ უთხრა: „ლისის ტბაზე აგარაკი წამოვიწყე, ცოტა ასფალტი მინდა, ცოტა ცემენტი და ცოტაც მილებიო“. მამალმან უთხრა: „პრარაბი“ მანდა წევს, გაალვიძე, ეგ გაგიჩალიჩებსო“. მელა მამლის ნდობით სცდა და ძაღლთან მივიდა, „პრარაბობით“ უხმო და უთხრა, რაცა სურდა. ძაღლმან შეხედა, ნამძინარევზე არ „ევასა“, „ობეხეესის“ მოგზავნილი ეგონა, მელას გამოუ[illegible], დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა. წავიდა გაგლეჯილი, ნათრევი. გორაზე წამოდგა და გადმოსძახა: „მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართა, და, თუ თქვენ მაგ საქმით ქალაქი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო!“

ნუგზარ აფხაზავა

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ნოველა

ყველაფერ ამას ფული არ უნდოდა? ჩემი ხელფასი ეყოფოდა? ჰოდა, იმას ვამბობდი, ცოტა მეტს ვართმევდი მყიდველებს, მაგრამ კაცი-შვილი სმას არ იღებდა, მარტო ერთმა მათხოვარმა ამიტეხა ჩხუბი, ეს ფეხსაცმელი ორმოცი მანეთი ღირს და სამოცს რად გვართმევო?! შიშით გული გადამიბრუნდა, მაგრამ ვენაცვალე ჩემს ხალხს! ასეთი კარგი რომ არა მყავდეს, რა მეშველებოდა? მხარი არავინ დაუჭირა! პირიქით, ხელიდან გამოგლიჯეს ფეხსაცმელი, შენ თუ არ გინდა, ჩვენ გვინდაო! ხახამშრალიც დატოვეს და გამოლანძღეს კიდეც!..

ერთხელაც როგორღაც რესტორანში სამი კარგი ბიჭი შემოვიდა. ვენაცვალე იმათ, კარგად მოვემსახურე და ოცი მანეთიც ზედმეტი ავწაპნე. აბა, რა მექნა, გარაჟი მქონდა ასაშენებელი და მუქთად ვინ ამიშენებდა?! ჰოდა, ის იყო, ფული ჩავიჯიბე, რომ ვიღაც ინტრიგანები გამოჩნდნენ. აბა, ერთი ხელახლა უანგარიშოო, მითხრეს. ოფლში გავიწურე, რა მექნა, არ ვიცოდი, მაგრამ ისევ ბიჭებს შევეცოდე, დაგავიწყდა, ძმობილო, ძმაკაცებთან ხილი და შამპანური რომ მიგატანინეთო?!.. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ ვითომც კიდევაც ნაკლები მიანგარიშია. მაშ, არ უნდა ვენაცვალო ჩემს ხალხს?! ასეთი კარგი რომ არ მყავდეს, რა მეშველებოდა?!

ერთხელაც ერთ კარგ კამპანიას მოვემსახურე. ანგარიშის გასწორების დრო რომ მოვიდა, ოცდაათი მანეთით მეტი მრჩთხოვე! მაშ, რა მექნა, მანქანა მყავდა გასარემონტებული, ფული მჭირდებოდა!.. დააძრო ერთ-ერთმა კლიენტმა წითელი წიგნაკი და მიყვირა: — იცი, ვის ატყუებ?! მე ესა და ესა ვარო! ის იყო, მუხლებზე უნდა დამეჩოქა და შევხვეწებოდი, ნუ დაღუპავ ჩემს ცოლ-შვილს-მეთქი, მაგრამ უცებ დაცხრა, მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა:

— ჰო, კარგი, კარგი! აჰა, ათ მანეთს კიდევ დაგიმატებ, ოღონდ ინტრიგანი არ გეგონოო!

მაშ, არ უნდა ვენაცვალო ჩემს ხალხს?! ასეთი კარგი რომ არ მყავდეს, რა მეშველებოდა?! გაგიმარჯოთ, ბიჭებო, ღმერთმა მიცოცხლოს და მიდღეგრძელოს თქვენი თავი, ინტრიგანები არ გამხდარიყავით!..

— ვაჰმე, ვისი საქებარი გახდა ჩემი ხალხი!..

— პანღური ამოჰკარით! ვინა ვგონივართ ჩვენ მაგას?!

— კარგი, ბიჭო, გაჩუმდი, ინტრიგანი არავის ვეგონოთ, სირცხვილია!..

— შესვი, გაამოს!..

ჰოდა, მეც გეხვეწებით ყველას, — ინტრიგანი არავის გეგონოთ ამ ნოველის დაწერისათვის!

გივი კაპანაძე

1987 წლის II კვარტალიდან ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საფოსტო განყოფილებებში დაიდგმება ისეთი ავტომატ-აპარატები, რომლებიც უმისამართო და უსახელო წერილებს მიიღებს, დაახარისხებს და საჭიროების შემთხვევაში ზოგ მათგანს სათანადო ორგანოებში გაგზავნის. ამიტომ თქვენ, ვინც მთელ ნიჭს, უნარს, შესაძლებლობებს, ძალას, ენერგიას, დროს, მთელ თქვენს შეუგნებელ ცხოვრებას ახმართ ანონიმური წერილების წერას, უდანაშაულო ადამიანების დაკბენას, დალანძღვას, დაშსამვას, დაინფარქტებას, დაინვალიდებას, — სასწრაფოდ ხელში უნდა ჩაიგდოთ რომელიმე პატიოსანი ახლობლის, ნათესავის ან თანამშრომლის ხელნაწერები, ზუსტად უნდა შეისწავლოთ მათი კალიგრაფია და წეროთ მათი ხელით ისე, რომ ვერც ერთმა ექსპერტმა ეჭვი ვერ აიღოს თქვენს ავტორობაზე! ამით ორ კურდღელს დაიჭერთ — იმათაც გაამწარებთ, ვისი კალიგრაფიითაც წერთ, და იმათაც ჩირქს მოსცხებთ, ვისაც უჩივით (ხელნაწერები შეიძლება მოიპოვოთ პირადი მიწერ-მოწერით, ხელფასების უწყისების ასლთა გადაღებით, საოჯახო ალბომების გადათვალიერებით და ა. შ.).

ვისაც კალიგრაფიაში ზუსტი მიბაძვის დიდი ნიჭი გაქვთ, გისურვებთ ახალ-ახალ შემოკეტებით და შემობნედებით წარმატებებს!

ვანონიმი

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

— ჰანს, თუ ჩვენმა ფინანსთა სამინისტრომ ეს გადასახადი არ მოგვიხსნა, მაშინ ქურდებმა გაფიცვა უნდა გამოვაცხადოთ!

87-104

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 3 (1733), თებერვალი გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე,** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

●

გადაეცა ასაწყობად 05.1. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 04. 2. 87 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-სგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14, შეკვ. 19. უე 04820 ტირაჟი 144.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137
ფასი 20 კაპ.